



3.—1915 მიიღება ხელმოწერა 1915 წ., „თეატრი და სპორტები“-ზე 18 იანვარი



კოლონ. ნიკ. გ. გიშჩიანი
მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის ქალის შვილი, ოსმალეთის საზღვარზე ბრძოლის დროს მოკლული.



გიორგი ივანეშვილი
ძველი სცენის მოყვარე, ქ. თბილისის ხმოსანი და საადგილ-მამულო ბანკის ტექნიკოსი, დაჭრილთა მზრუნველ კომისიის წევრი, დაჭრილ მუომართა მიწების დროს სახლით გახდა ავიდ და 15 იან. გარდაიცვალა. უანგარო, თავდადებული და უმწიკვლო მუშაკი იყო.



გიორგი ჯალაშანიანი
ქაშვიტის მუღვიტონე, კართული სასულიერო მწიგნობართა მკოდნე, საკლესიო წიგნების ცნობილი მკითხველი და მგალობელი, გარდაიცვალა 14 იანვარს.

№ 3
შინაარსი:

1. მეთაური — ეროვნული თავისუფლება 1
2. ივ. გამართელი — აკაკის ავღმკუფო-
ზის გამო " "
3. გრ. მეგრელი შვილი (მთის ნიაგი) —
ლტოლია, ლექსი 3
4. დ. თურღისპირელი — ლადაღისი " "
5. გიგლა მებუჟე — თეატრის რსტ-რია
II ჩინეთის თეატრი 4
6. ა. შან შია შვილი — ქალი გრძნეული,
ღრამ, პოემა 1 მოქ. (გაგრძელება) 5
7. ნ. კეცხოველი — ძიგვს, პაუზი 8
8. ი. მჭედლი შვილი — სასაფლაოზე, 7
9. მ. დათია შვილი — ორი სურათი " "
10. იოსებ პრიმათიელი — აეთის რკი-
ნის გზა 9
11. გ. საუვარელიძე — კ. მ. კ. ფოტოგრა-
ფიის კ. ნეოტეტების გამო 10
12. რ. ჯიბილი — თავი გახუტვა (გურ-
ული სცენა) 11
13. მის. აბრამი შვილი — ისტყეა* გრი-
შა შვილის პოეზიაში (გაგრძელება) 12
14. ი. ელი — სენეს მუშეკო მელქო
აჯინამუღოვი 13
15. გიორგი ჯაბაღარი — დ ქცია 18
16. ქართული სახიობა: 14
17. რედაქციის განმარტება 18
18. წერილი ამბები 15

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

ორშაბათს, 19 იანვარს 1915 წ.

ქართ. მსახ. ამხანაგობის მიერ
წარმოღვენილი იქნება
ფრანკთა მწერლის მ ლენგიალის ცნობივი შიგ-
სა იანხელთა ცნოვრებიან

ტ ა ი უ შ ნ ი

ღრამა 4 მოქმ. თარგმ. ელო ანდონიკაშვილისა
მიწაწილეობს მთელი დახი და თანამ-
შრომელთა მთელი ჯგუფი
დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე
ადგილების ფასი 1 მ. 20 კენ — 10 კ. მდე
რევისორი ალ. წუწუნავა

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ზ ი

კვირას, 18 იანვარს 1915 წ.

ახალი კლუბის დაბრახში გამართება

ლ ე ძ ც ი ა

პროფ. ივ. ა. კავახიძის მიერ
წაიკითხავს:
ქართ. სამართლის ისტორიიდან მე 8-14 სუჟე.
ლექცია გაგრძელდება 3 საათს.
დასაწყისი სრულს 11 1/2 საათზე.
ადგილების ფასი 1 მ 50 კაპეკიდან 50 კაპ.
მოწაფეთათვის 25 კ.
პაექეთები იუიებენ ახალი კლუბის შორიკე
გარის კატასან

და, წყო ხელმოწერა 1915 წ.

სალიტ-საბაოლ. და ეკონომიურ გაზეთი „შრომა“^{ზე} წელიწადი
გაზეთი 1915 1 იანვრიდან გამოვა ყოველდღე წინან-
დელი რედაქციით გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ
ახალი ძალები.

წლიურ ხელის მომწერლები პრემიად მიიღებენ ბიქტორ ჩერხო-
ვის წიგნს ზელოსაფიური და სოციალიზაციური ფორმები (ქარ-
თული ენაზე 300 გვ. ანა ხელის მომწერლებისთვის წიგ. ეღირება 2 მ.
გაზეთის ფასი: წლით — 7 მ. ნახევარწლით — 4 მ. ერთი თვით
80 კ. ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარეშდ თარჯერ მეტი.

წლიურ ხელის მომწერლებს დულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ
ნაწილ, ხელის მოწერისას — 3 მ. 1 პერიდს — 2 მ. 1 თვისას — 2 მ.
რედაქცია ღრამ ყოველდღე იღო. 9 — 2 ს. საღ. 5 — 6 ს.

მისამართი: წერილებისა და ფულისათვის: Кутаись

ред. »ШРОМА« почт. ящ. № 47.

უფრნალი
„თეატრი და სხოვრები“
გ. სასკიდაო თიღობისა და პროფიტისა გარდაცხ
შეწავლ-გ. მკუნიის გამგებელს კანტორის
„მეხ დიბა“
გიორგი ნაქ მახარაძის
მისამართი: პრასპექტი, № 18. ფოტოს უფოა. № 2.
შეუქლა გამგებელს თბილისისა და შიოყანდისს მ
მის უნდა მიმართოს.



№ 3

წელიწადი
8 0 6 5 8 0

წლიურად 5 მ., ნაბევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: **თიფლისი** რედ. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაბეჭდვება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დღითი 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 3

კ მ ი რ ა 18 0 ა 6 3 ა რ 0

1915 წ.

საბაბი თავს კარგადა ჰკარძნობს, მაგრამ ცხენა ფეხს სძრავს, მკაცრობა გამოთქვას ენის ავადმყოფობა უშლის, აზროვნება საღი აქვს, ზოგჯერ აზუნჯობს კადეც, მნახველთა მოსვლა იაბემა. მოვლა კარგი აქვს, განუწყვეტელივ თავს ადგია ექიმი ქოლოზგილი და ქიათურიდან ორ დღეში ერთხელ დაიარება ექ. ი. ჯაფარიძე.

18 იანვარი

ეროვნული თავისუფლება.

„მზისა შუქთა ვერ მკვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭკნებისს.“

ტყუილად არ უთქვამს ჩვენს სულმნათ შოთასს. თუ აღამიანი სუფთა ჭეკარა და მზის სხივებს მოკლებულია, მუღმივ მონობაშია, — თანდათან ვაცრიბდება, დაჯუჯავდება... ასევეა მთელი ერი, როცა მის ბატონის მძიმე ხუნდები აძევს, ვერასოდეს განვითარდება სულიერად და ხორცილად..

ეს საზოგადოდ, ხოლო კერძოდ უცხო აზროვნების, სარწმუნოების, კულტურისა და ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენის სიმკაცრეს მღაბიო ხალხი — გლხკაცობა, წვრილვაჭრები და მუშები უფრო განიცდიან, ისინი, რომელნიც თავის სამშობლო მიწა-წყალზე არიან მიკრულნი, შეძლება არა აქეთ გაბატონებულ ერის ენა შეისწავლონ და საკუთარი კი, მღუნად აღარძინებული არა აქეთ, რომ კაცობრიობის შემოქმედების უკეთესი ნარეუქი შეითვისონ, საერთაშორისო მისწრაფებათ ეხიარონ .. ხოლო უცხო ენით აღზრდილ განათლებულნი იმდენად გადაგვარებულნი არიან, რომ იგინი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ გვარით თუ ჩაითვლებიან სამშობლოს შეილებად, ისე კი სრულიად მოწყვეტლნი არიან მშობლის მკერდს ..

მშობელს მათი არა ესმის-რა, მათ მშობლის ტყივლები ვეღარა ჰსძრავს... ეს ანბანური ჭეშმარიტება ბევრისათვის ჯერ კიდევ სადავოა ..

ცხადზე უცხადესია, რომ უკუღმართ საუფქველზე აგებული სწავლა-აღზრდის წესი ჩვენ მხოლოდ უკუღმართ, გადაგვარებულ, დამახინჯებულ თაობას გვიზრდის, მაგრამ ვინ არის ამის სწორე ანგარიშის მომთხოვნი? ჩვენი სამშობლო მწერლობის, ხელოვნების, თეატრისა და საზოგადოდ კულტურის აღორძინება-განვითარება მხოლოდ ეროვნული თავისუფლებით შეიძლება...

ამიტომაც ყოველი ჩვენთავანის მთელი ყურადღება მისს უნდა მიექცეს, რომ ჩვენის ერის ყოფა-ცხოვრება წეს-ერ-ბუნებრივ კალაპოტში ჩავყენოთ ..

საბაბის ავადმყოფობის გამო

სულმნათო, მაღლი შენს გამჩენს, დიდება ერსა, შენს მშობელს!



აკაკი

ავადმყოფობის გამო ენით შეიტყუა დედამიწის ავკარგი, კაცთა შორის გამეფებულნი ძალმომრეობა, ბოროტება, შური, მტრობა, სიძულვილი, ჩავგრა. გული სევდით ავესო.

მწუხარებამ დაამძიმა მისი ფრთები. ძირს დე-
დამიწაზე დაეშვა და თვალთაგან ცრემლები
გადმოსცივდა: ჩაგრულთა და წამებულთა ტან-
ჯვამ მას ტირილი ასწავლა.

დიდნას იჯდა ანგელოსი ფიქრებში
გართული. ცისკრის ვარსკვლავმა ამცნო მას
დრო ზეცას დაბრუნებისა

ფრთები გაშალა, აფრენა დააბი ა, მაგ-
რამ ფრთები ისევ ძირს ჩამოეშვა. ზეცას თა-
ვი დანაკებე, უბედურთა შორის დარჩიო, უთ-
ხრა გულმა.

ანგელოსი დარჩა ზეციური სა-
მოსელი უკუაგდო და მიაშურა ხალხს, რომ
ქირიცი და ლხინიცი ხალხისა გაეყო, გაეზა-
რებინა.

ეს თქმულება მაგონდება ყოველთვის,
როდესაც აკაკის პირ ვნებას ვითვალისწი-
ნებ.

ბუნებამ მას მისცა ყოველივე— ჩამომავ-
ლობიდან მოყოლებული გარეგნობამდე.

ის ეკუთვნის დაბადებით ბრწყინვალე
წოდებას— დიდი როსტომ წერეთლის შვილია,
და საპირადო გზას რომ დასდგომოდა, დიდ
წარჩინებას მიიღებდა.

მაგრამ აკაკიმ უარჰყო ყოველივე, რაც
ცხოვრების მეჯლისში პირველთა შორის
აღაგს უქადა, — წარჩინებული წოდებაც,
გვარი შვილობაც და ხალხს— დამცირებულ,
დაჩაგრულ, გაყვლეფვიდ ხალხს— ამოუღდა
გვერდში, რომ მისი ბედი გაეზიარებინა, მისი
ცხოვრებით ეცხოვრა.

ბრწყინვალე წოდების ბრწყინვალე ახალ-
გაზრდამ, რომლისათვისაც ღია იყო კარი
საპირადო სამოთხისა, უარჰყო ეს წოდება მი-
სის სამოთხით და თავისის ნებით ძირს ჩა-
მოეშვა— ჯოჯოხეთში, რომ ტანჯულთ და
წამებულთ გვერდში ამოსდგომოდა.

თუ ეს ძნელია ჩვენს დროში, იმ დროს,
როდესაც აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამო-
ვიდა, შეუძლებელი იყო.

მაგრამ დიდ ბუნებაში აფეთქებულმა
სიყვარულმა სამშობლოსამდე სასწაული მოახ-
დინა და აკაკიმ შეუძლებელი შესძლო, —
დასძლია და გადალახა ის, რისი
დაძლევა და გადალახვა ზედრია მხოლოდ
რჩეულთა.

გვარი შვილობამ, ოჯახმა, განათლებამ,
მშინდელმა გარემოებამ და საზოგადოებრივ
ცხოვრების პირობებმა აკაკის ყოველივე
უხვად მიანიჭა, რომ ის მაღლა, ცხოვრების
თავში დარჩენილიყო და პირად განცხრომასა
და ფუფუნებაში ტკბილად ეცხოვრა.

მაგრამ აკაკიმ უარჰყო ყოველივე და
დაბლა დაეშვა, ძირს ჩამოვიდა, დაჩაგრულ-
თა და უბედურთა შორის დაბინავდა.

რამდენათაც ბრწყინვალე იყო აკაკის
საზოგადოებრივი მღვდობარეობა ჩამომავლო-
ბით, იმდენად ბრწყინვალე იყო და არის
აკაკის ნიჭი. ასეთი ძლიერი ნიჭი ხშირად
უკუაგდებს ხალხმე სოფელს მისი ქირვა-
რებით, მოსწყდება დედამიწას, აფრენება
მაღლა და იქ ოცნების თვალგაღწევედნელ
სამთავროში დანაგვარობს გალაღებული და
ჰქმნის სურათებს მსოფლიოსათვის.

აკაკი აქაც აკაკი დარჩა.

რას მიქვია მსოფლიო, როდესაც ჩემს
პატარა სამშობლოს ბნეფეთის, ბოროტის და
უკუღმართობის ბრქყალბში სული ეხუთებაო,
უთხრა მან თავის მუხას; თვისი ნიჭი ოცნე-
ბის სამთავროს გამოჰკლიჯა ხელიდან და
მთელი მისი ძლიერება თავის ხალხის ყოველ-
დღიურ ცხოვრებას, დღიურ ქირ-ვარამს ამსა-
ხურა; თითონ კი ამევე დროს ოცნების
შვილათ დარჩა.

ადამიანთა შორის აკაკი ყველაზე უფრო
ადამიანია:

შუა კანდი ვარ, უბრალო,

სან მიწას ვარ, სან ცნას.

მასში მოიპოვება ადამიანის სუსტი მხა-
რეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის წმინდაა,
როგორც ის ანგელოსი, რომელმაც ზეცა
უარჰყო ტანჯული ადამიანის გულისათვის და
წმინდა, სთაყვანებელ არსებად დარჩება
მთელი ქართველი ერის გულში

ერთ თავის ლექსში აკაკი თავის თავს
გარეგნობის საყვირს უწოდებს. ძვირად ნა-
ხავთ მერვე პოეტს, რომელიც ყოველდღიურ
ცხოვრებას კვალდაკვალ გაჰყოლოდეს,
რომელსაც ყოველდღიურობა პოეზიის საგნად
გაეხალს.

სხვა გვარად ვერც მოიქცეოდა ის პოე-

ტი, რომელიც მუდამ ქვეყნის ჭირით იყო დატვირთული.

ამავე დროს თქვენ ძვირად ნახავთ სხვა პოეტს, რომელიც აკაკისავით ეკუთვნოდეს ზეცას.

აკაკის პოეზიაში ოცნება და სინამდვილე ერთი შერობის დამატებაა; საღ თავდება სინამდვილე და საღ იწყება ოცნება; პოეტმა არ იცის: შესაძლებელი ოცნებაში, შესაძლებელია მისთვის სინამდვილენიც.

ამაყი, კეთილშობილი, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ქეშმარიტი დემოკრატი, პირდაპირი, გულახდილი, შეუპოვარი, უშეშარი ზღაპრული ჰერკულესივით დასტრიალებდა ჩვენს ცხოვრებას თავს და გზას უკაფავდა ქართველ ერს ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ღღეს ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდება, ჩვენი საყვარელი აკაკი მძიმე ავადმყოფია. ვინატროთ, რომ მაღლე განიკურნოს და ძველებურად წაგვიძღვდეს წინთვის ბასრი კალთა და ტუბილი ნიოთ.

ვ. ჯანაშია

ლექსი

ვერავინ მნახავს მე სრულ ბედნიერს,
ვერავინ მნახავს სასოწარკვეთილს;
რადგანც მარად ჟამს იცვლება ლტოლვე
და ვაკეთილი მიჰსდევს ვაკეთილს.
ღღეს თუ შემოიპყრობს ერთი სურვილი,
ხვალ ვემოწმებ სულ ახალ ვნებას,
ზეგ ჩემ შექმნილ კერპს თვითონვე ვამხსნევ,
ვერ ვეთვისები ერთფეროვნებას
და, ვით არწივი, მძღაერ ფრთებიანი,
ჟამსა დილისას მიჰქრის მზისაკენ,
ისე მიჰქროლავს სული ლტოლვილი
იღუშალობით სავესე ცისაკენ.
მე მინდა მიგსწვედ ზეცას, განგებას,
მოჰკვდა წყურვილი აზრის, გულისა,
მე მსურს გავიგო, რაა მიზანი
ჩვენი სიცოცხლე აღსასრულისა!..

გრ. მეგრელიშვილი (მთის ნიავი)



პარტენ აღ. გოთუა.

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და ქ. თბილისის თვითმართველობის ხმოსანი. ქალაქთა კავშირის მზრთველად გასულ კვირას ტორიხის ხეობაში იყო, მოწინავე პოზიციებზე მომქმედ ჯარში ტანისამოსისა და სადღესასწაულთა საჩუქრების დასარგებლად.

ღელავისი

I

— ნააუუ... ნააუუ... ნააუუ... — სტირიან ზარების ხმები და ეფინებიან ზეფირისაგან ფინებულს წალკოტს; ფრთხილი ნისლივით ეფინებთან მგლანქოლიური ხმები ზარებისა წალკოტს და ემუდარებთან ყურად იღოს მათი ღღაღღისი... იღმოს მათი სულთქმა — ვალალი .

ნააუუ... ნააუუ... ნააუუ . .

ახ,რა ამოუტირებელი სეცდა, რა გულის მომწყველი კენესა შიგ ჩაქოსოვილი...

ჰქვითინებენ ზარები, მაგრამ არ ესმის წალკოტს, იგი მოვარის სხივებისაგან მინაზებული სთვლემს, ეძლევა ტუბილს ძილს...

ვარსკვლავნი ძილისპირულს აწყრილენ... ნანინას უგალოზენ სიჩუმის კალთებზე თვალმიღულულს წალკოტს...

— სსს!.. მსუბუქად, შაჩტედ აიპარა ვარსკვლავებთან სიო.

— სსს?.. წილოტს ჩაეძინა .. ახლა მოპ-
გვარეთ გრანეული სხივეთი ლაქეფარდოვანი
სიხმარია.

სძინავს წალოტს.

ვარსკლავნი უქარავინ ზღაპრულს
სიხმრებს.

მთავრის სხივები საუცხოო გოროხად
ეხვევიან მდლოხოზე აგრუზულს ქალაკებს...

ზარები კი ჰვალოდებენ..

ზარები იღველდებიან მწუხარებით ..

II

სულო ჩემო, შენც მიხსვენებიხარ სარე-
ცელზე და მიგილოლენია იებივით ნაზი თვა-
ლები...

აი, ვარსკლავნი გრძნებამ ერთხელ
კიდე გავიბო ძოწნი და მივაძინა.

პირბადრმა მთავრემ გადაგზურა სხივთა
ოქსინოქ ..

ტრუბონის მანგისგან მთვრალმა იაღონმა
ჩაგირაკრაჰა ძილისპირული ..

შენ მიგეძინა და სიხმართ დასი ავითა-
მაშდა საითი თვალვებზე..

შენ მიგეძინა, მე კი ვაფრქვევ მდლოარე
ტრემოლებს. მე ვსტორია, ვკვენისი, ვით ორძა-
ლი ობოლ ტლუ მწყემსის.

სულის ღებოა, შენ ეს არ გესმის?

არ გესმის განა ვალოლება შენის მოკბე-
ლის!

პასუხს არ მიძღვევ ..

შენ გძინავს ტკბილოდ ..

შენ გძინავს ნაზად და გევზანება მეშვი-
დე ცა ფირუზოვანი.

შენ გძინავს, გძინავს, გძინავს ტკბილოდ
ზღაპრის ზღაპარო.

გძინავს უჯავროდ ..

ვით შეისმენ ჩემსა ლაღადისს...

დ. თურდოსპირელი

თეატრის ისტორია

II. ჩინეთის თეატრი

ჩინეთში თეატრის არსებობა უძველეს
დროიდან, 720 წლიდან ქრისტეს დაბადებამდე,
დაიწყო. მასინ სიუანტუნი სწავდა ზიესესს,
რომლებსაც სდგამენ კიდევ ჩინეთის თეატ-
რში. ჩინეთის თეატრის დიდი ხნის ისტორია
აქვს, მაგრამ მისი დღევანდელი თეატრი მანდ
მისივე უძველეს თეატრისა ან ბუდით არ განს-
ხვავდება. ბუნებით რა ჩინეთის დღევანდელ
თეატრს, შეხამნავთ, რომ ის დღესაც თითქმის
იმევე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც
მრავალი საუკუნის წინად იყო.

დღევანდელი თეატრის ამ გვარი მდგომარეობის
მიზეზი ჩინეთის კანსაკრებილი ცხოვრებას.
ჩინეთში აშართულია კედელი და არ უშუბენ
უხვის არფერს, საშავიეროდ იტყვენ თავის
ძველთა ძველ კულტურა, მერნიერებასა და
სულდოვებას. სასოგადოდ ჩინეთში ახალს
ძალიან ძველად ითვისებენ და მათ უცხოელების
არავალი არ წწამთ.

ჩინეთში ამ გვარის ხასიათმა ჩინეთი დამ-
სკავს საძველეთა მუზეუმს. ბუერი რამ ძველი
ჩინეთში დღესაც შენახულია და დაცულია. აღ-
სანიშნავია, რომ ზოგიერთ რამეს, მიუხედავად
ათას წლებით არსებობის, ძველი სახე მანდ
არ დაუკარგავს და ევოლიუციის კანონს არ და-
მორჩილებია. ძველი სახე აქვს შერჩენილი, სხვა-
თა შორის, ჩინეთის თეატრსაც.

ჩინეთის თეატრი მართალია ევლერთა—
მიმიკურ ტიპის—თეატრზე მხლავს ღდას, მაგ-

რამ შესაფერ განვითარებამდე კი არ არის მი-
სული. თეატრი განსაკუთრებით ხას შენობისაა,
სცენა ზარტერთან ამდლებულია, დეკო-
რაციასა და ფარდას მოკლებულია. მისახიანი
სშორად სმართებენ ზირსე ჩამოასფერებულ ნი-
დაბს. ჩინური ზიესები უმთავრესად ზნეობრივი
სასიათის შინაარსისაა.

ჩინეთის თეატრსა და მიმიკურ თეატრის
შორის არის მსგავსებაც. როგორც აქ, ისე აქ,
მოქმედებანი სდება შეუხრებელიც მუსიკის ერთი
ჭანვის დაკვირვის განმავლობაში. აგრედეც მსგავ-
სად მიმიკურ თეატრისა, ჩინეთის თეატრშიც
იციან ქარგებუბე დაზარავთ.

მოქმედების დროს, როდესაც ერთერთი
მოქმედი უნდა მოკლახ, და როდესაც მისიელი
კისერზე დაუდირებენ, მასინ სცენაზე მოსა-
სახურედ მოსავლავის სახესთან ცაშლის წითელ
დროშას და „მოკლეული“ ხაღხის თვალწინ სცენი-
დან გაზიანს. მისი გასვლის შემდეგ სცენაზე
მოსამსახურე იატაკზე სდვის წითელ პალიშს,
რომელიც გამოხსტეულია „მოკლეულის“ თავისა.

მოსამსახურის სცენაზე ყოფნა ვითამ არ
უნდა შეამჩნიო. გარდა მოსამსახურისა სცენა-
ზე არის უფროსიც, რომელიც უხსნის სსო-
ცადობას აზრს იმისას, რაც სდება სცენაზე
და აცნობებს იმასაც, თუ რას ფიქრბს ამ
თუ ამ დროს ესა თუ ის მსახიობი. ესევე უფ-
როსი თვალურს ადევნს სცენაზე წესიერების
დაცვასაც

გიგლა მებუკი

ქ ა ლ ი ბ რ ძ ნ ე უ ლ ი

დრამატული პოემა I მოქმედებად
(გაგრძელება. იხ. №თ. და ც.“ № 2)

ძნეო სალო!

სალო მიბრძანე!

ძნეო ცოცხალ ყვავილებს ჩემს გარშემო
რად არა ვებდავ?

განა ჩემს ბაღში დილის ნამზე აღარიშლება?
ოთახი მორთე ყვავილებით!
სალო გადის

მიმი!

მიმი მიბრძანე!

ძნეო შენ საუცხოოდ ამზადებ ხოლმე
მუშესა და ამბრსა
ენების ღვთაების მსხვერპლმწესაწირად წა,
მოამზადე!

მიმი გადის

ევონ!

ევონ მიბრძანე!

ძნეო თმა დამივარცხნე ნაწნავებად დამიწან
კობტად.

ხოლო წინ შავი კულულები დასტოვე ისევ.

ნელი!

ნელი მიბრძანე!

ძნეო შენ რაღას ელი? დიწყე საქმე.
ნელი ფეხის ფრჩხილებს უღამაზებს

ჰანგოს სიმღერა გაგრეღ

ტურფავ, ტურფავ! შენმა ფიქრმა

სული ეშხით ამიძგერა;

შორეული მოველ ახლოს,

მსურს დაკოდლის შენი მზერა.

აწ მიმიღე და გზა მომეც

მე დამწვარსა სიყვარულით;

ჩემი სულის ტკივილისგან

სხვა იესება სიბრაღულით.

აჰა, მოველ ბროლის კოშკთან,

კვლავ დღე ნათლით მომეძარა;

შემიფარე შენს ჩრდილ ქვეშე,

სცან, თუ ტანჯვა ვით მექმარა!

ძნეო რა მშვენიერი სიმღერა ისმის!

აგრე მოხდენით არც ერთს ჩემს სტუმარს
არ უმღერია.

ღია! შენ მაგას მერეც ისაქმე.

წადი და უთხარ ჩემს ერთგულ ნანას:

ვიღრე არ ვბრძანო, არ გაუღოს კარი მომ-
ღერალს!

ღია რათა?

ძნეო ასე მსურს!

არ იცი, თუ რომ გაულრმავდა გულს მწუხარება

და დააფრქვია თვალმა ცრემლი და მდულარება--
მაშინ მოსწყურდეს მეტის ღღვით გულს
ნეტარება.

ღია გადის

სიმღერა

ჩემი ცრემლი ჩანგს ასველებს,

ჩემი ცრემლი სისხლს ედარა;

შემიფარე შენს ჩრდილს ქვეშე,

სცან, თუ ტანჯვა ვით მექმარა!

ძნეო სარკეში კეკლეუტაბს და თან მღერის:

ვინც ჩემ ბაგეს შეეცება,

ბაგეს ვარდალ აკოკრებულს,—

აღარ უნდა მოცილება

სიამისგან მიმკვდარებულს!

ენებით ხელში იბნიდება

და სოფლისგან იწირება!

ნანო შემოაღის

ვიშ, დღეოფალო! რა ყრმა არის მოსული
შენთან!

ძნეო ვინ არის იგი?

ნანო ვინაობა ვერ გამოვკითხე ..

მისდამი რაღაც მოკრძალებდა ვიგრენ მე გველში
და ვერ მივბედე! ხოლო ერთხელ

შორიდან ვკვირბტე

და რა ტანადი, რა ღამაში იყო ქაბუჯი.

მერე თვალეზი? უნათებდა, სხივებს! ისროდა

ხავერდოვანის ტანსაცმელით მოკაზმულია.

შავ ქულზე ფრთა აქვს, წიღზე ხმალი და
კვლავ ხანჯალი.

ხელთ უკავია ელოსის ჩანგი ცხრაძალი.

თვისი მერანი მოშორებით მიუზავს ხეზე—

ღვთაება არის, დღეოფალო, თვისის მშვენი-
ბით!

ძნეო აბა, სარკმილიდან გადავხედავ!

ნანო მოვიპატივით.

შენი ქიშკარი თუ კი სხვა დროს კარდია იყო,
ახლა მას რისთვის დაუკეტე?

ძნეო განგებ, ძვირფასო!

სარკმელს ვამოაღებს და ვიდაძახებს:

ჰე, მომღერალო! ვინ ხარ, მოთხარ! სიდან მოსულხარ?

ეგ ჰანგი მამცნობს, სიყვარულით ღრმად გამსკვეალულხარ!

მაგრამ გაბრუნდი! დასალუბად შე არა მსურხარ!

ჩემთან არ იცი, რა მოგელის, განა? არ სწუხხარ?

ნანო ახ, რათა, რათა? აქ შემოსვლას რისთვის უკრძალავ?

ეგ მაგალითი, დედოფალო, პირველი არის!

ძნეო განგებ! რას იზამს! დაე, ჰპოვოს დამწვარმა გლოვა!

ჩემია, ჩემი! უარს ვეტყვი და უფრო მოვია! მღერას ვინც კი ჩემს ზაგეს ეამბორება,

იგი ამ სოფელს განეშორება!

ჰანგოს ხმა

ო, შენსა ახლოს თუნდაც მოგვედო გაუხარელი, სულ არ ვიღარღო, შენს მზეს ვფრცავ და შენსა მთევრს!

სულ არ ვიღარღო, რადგან ვიქმენ შენი მნახველი!

რამ სანუგეშო უთხარ გულსა შენთვის მღელვარეს!

ძნეო დაღონებულო, უკმაყოფილო ახ, ჩემო ნანო! ესეც მომბეზრდა;

რომ ჩემს მშენებებს ემონებინა; ჩემთვის უსაზღვროდ თავგანწირულნი

ვნების ტალღაში იღუპებინა.

ერთხელ მეც მსურდა ისეთს შევეყროდი, რომ მას დაეპყრო გრძნობა გულისა;

ჩემზე ეუფუნა. ვით ნებით ძლიერს, შემესევა სიტკბო სიყვარულისა.

შე ბატონს ვეძებ და ხელში მრჩება მონა საბრალო, მონა ძლეული;

ჩემზე მეტს ვეძებ და მცირე მხედება— ნუ თუ ბედი მაქვს ესრე წყუელი?

ჰანგოს ხმა

ეჰა, მიჯნურო! შენსა მკობელს მომეც მე ბინა! იგი მაქმარე, რაც თვალთავან ცრემლი მედინა!

მიმიღე ახლოს შენის ეშხით ესდენ ძლეული! მომეც გზა მცირე, სიყვარულით

ძნეო აჰა, არ გვისმის, ძლეულიო! უკვე ძლეულა!

ნანო გული ჰქონია, როგორცა სჩანს, უმწიკვლო, ნაზი!

მოდ, ნუ მიწყენ და გაეუხსნი იმ ჰაბუქს კარსა!

მისი ძახილი მოთქმასა ჰგავს და გლოვის ზარსა!

ძნეო სარკმელიდან მსწრაფად მოტრიალდებამაშ წადი! მაგრამ სურნელ წყალში

ჯერ აბანავეთ. მოკაზმეთ ტურფად, ჩემს დარბაზში შემოიყვანეთ.

და მეც მანამდის მოვირთოვები, .. იგი სარტყელი არ უღდება მჭვირვალე კაბას. სხვა მოიტანე!

ქამარი მომეტ, ეგვიბტე— მა რომ მისახსოვრა. ჩემი ფლოსტები დამავიწყდა საწოლ ოთახში.—

მამაკაცს უნდა მოეწონო, ისე მოირთო. ქალის პირველი საკითხია კოჰწიად ჩაცმა.

კვლავ სარკეში კვლუტობს. ეს გამჭვირვალე კაბა მართლაც საუცხოვოა. ჩემი სხეული მე თვით მომწონს

მასში მკერთომარე. აბა, აწ მზად ვარ! ჩვენს სალოცველს მსხვერპლი შევსწიროთ.

ტკბილის გალობით ძლიერება მისი ღაღად ვყოთ.

ვნების ღვთების ქანდაკ ორპირად ჩაუწყვირებულბინა. გალობა. მუსიკა. ძნეო უთუში სდვას. გალობენ.

ძნეო. ვნების ღვთაებავ! შენს წინაშე ლოცვას აღვავლენთ.

ამალა გალობს ვნებავ ძლიერო და ნებიერო!

შენშია გრძნობა, შენშია გული.

შენით გვაქვს ტრფობა და სიყვარული!

ძნეო განთიადისას მიკრძალვებით ვაქებთ შენს სახელს

ამალა გალობს ვაქებთ შენს სახელს, აღვავარობთ რა ხელს!

გადიდებ მარად. შენ გვექმენ ფარად!

ძნეო შენი ერთგულნი ღაღადსა ვყოფთ შენს ძლიერებას!

ამალა გალობს შენა ხარ წყარო

დაუშრეტელი,
 და სანეტარო
 ჩაუქრობელი.
 შენა გმორჩილებს
 შთელი სოფელი —
 იდიდოს მარად შენი სახელი

გალობენ და თან ხელჩაიკიდებულნი ცვეთი ვარს
 უვლიან. ყვეილებით შეამკობენ ძველს და სიმღერით
 გაღიან ძნეო მარტო რჩება ძველის წინაშე თავდაპირილი.

ძნეო ო, შენ, ღვთაებავ სინატრელო,
 მარად ცხოველო!

შენა ხარ იგი, შენს ერთგულს რომ
 ძალას მანიჭებ!

შენის უშრეტის ცეცხლით ვგზნებ
 გულს მგზნებიარეს,
 და შენს ტალღაში თავსა ვიშვებ
 ნორჩის სიცოცხლით!

განთიადისას ლოცვას გწირავ,
 იყავ კურთხულ!
 ძველს მუხლებზე ვფევვა

შენა ხარ ჩემი მფარველი და დიდი სავანე,
 შენს ძლიერებას ამდინარებ ჩემს ნახ ძარღვებში,
 შენ აქლევ მარად ჩემსა თვალებს მომხიბვ-

ლელობას,
 რებლად.

შენ მიგზნებ ტუჩებს, მოარშიყის საამბო-
 შენ მინთებ ლოყებს აღისფერად და მხდი
 მხურვალედ

შენით შემეჭმნა მე სიცოცხლე ესდენ საყვარელ,
 შენ შეძლიერებ სუსტარსებას მამარჯვებ ნებ--
 იყავ კურთხეულ უკუნიითი უკუნისამდე!

მე ოდეს ვკოცნი, იგი კოცნა შენგან მეგ-
 ხნება!

მე ოდეს ვცეკვავ, იგი ცეკვა შენ შთამაგონე,
 როს ვიღიმები, ის ღიმილი შენ დამიმშვენე!
 ჩემი აღერსი, ჩემი ხვევნა, თვალთა ჟუჟუნო,
 ვნების ღვთაებავ! შენგანა მაქვს თანდაყოლილი!
 იყავ კურთხეულ უკუნიითი უკუნისამდე!

ნანო შემიადის მიიღებ სტუმარს?

მეზობელი

(გაგრძელება იქნება)



ჯარის კაცი ისაკ ზ. მჭედლიშვილი

„გემოს“ კვასის ქარხნის დამფუძნებელ-წევრობანი, ოს-
 მალეთის საზღვარზე ბრძოლაში დაპირილი და ბაქოს
 საავადმყოფოში გარდაცვლილი. დაკრძალეს გასულ
 კვირას 13 იანვ. კუთხის სასაფლაოზე კუბო გვირგვი
 ნებით იყო შემკული. ერთ მთავანზე ეწერა:

ქვეყანა ბურჟუს მოგცავს,
 თოფ-ზარბაზანი გრიალებს,
 სვავები გაცის სასხლას სმენ,
 ფორანი მადლა ტრიალებს!
 მზე აღდრ ბრწყინავს წინადადებ,
 ზიარზე გადგურავ; ძაძებო,
 ზოგი შვილას სწუხს, ზოგი ქმარს,
 მამას სტირინა ბაღლებო...
 და შენ დაქსნექერი ბიძაშვილს,
 ტანგმირუბე...“ და სხ.

შავლე მჭედლიშვილისაგან

ძეგესეს პასუხი

ქვეყანა იღუბებოდა, დასდგომოდა წამი
 უკანასკნელ, დღე განკითხვისა, დღე საშინელი.
 და ოდესღაც ძღვევამოსილი, ყოვე-
 ლივეს შემძლე ძვესე, ახლა ხიხითებდა; უხა-
 როდა ქვეყნის დაღუბვა-განადღურება.

მე, უხსოვარ დროს, ცად ანაფრენმა,
 ჰაეროვანი ფრთებით გამოუქროლე ძეგესე და
 შევეკითხე:

— ძეგესე, რას ჰპარობ? განა ღვიძო
 შვილის დაღუბვა განადღურებას?

— ჰო! ეხარობ მის დაღუბვას?— მომკა.
 პასუხი.

— და გ ნ რად?

— სანამ სიცოცხლობდა, მუდმ ვ ცრემლს
 ვღვრიდი, ოდეს ვხედავდი მის არარობას და
 ახლა კი...

გულმა ჩემმა ველარ მოითმნა,
 აღარა მსურდა მესმინა მ სი შემდეგი სიტ-
 ყვები, შემეშინდა ცული, დასაძრახი არა
 ეთქვა რა, რადგან წინად მეც იმ ცხოვრების
 შვილი ვიყავ დ მიყვარდა იგი. მოვშორდი.
 ძირს კი ვხედავდი, ქვეყანა იღუპე-
 ბოდა...

ნ. კეცხოველი

სასაფლაოზე

შემოვიარე სასაფლაო, მკვდართა სამყარო, მარად მდუმარე, მოწყენილი და სამწყურბარო. იქ იღვწენ მდიდართ მატურები გასაკვირველნი და ფიცრის ჯვრები, საწყალ კაცთა მომგონებელნი. მაგრამ ყოველი ქვის წარწერა მხოლოდ იყო ეს: „მოგვიგონებდეთ და ჩვენს ბედსა ყველა ტიროდეს. ბედნიერებით უკვდავებას ვეღარებოდით, დღე დამდებოდა; დილას ხარბად ველოდებოდით. მალე გათავდა სიხარული, ჩვენი დროება: — ბინძურ მატლებმა მოგვილოცეს ამოცება.“

აღსდექით მკვდრებო! დაუარეთ კარიდან კარსა და ეგ უთხარით ყველა ცოცხალს, მზის მაქებარსა. მაგრამ იცოდეთ საფლაოში მიღს ფუქად მოსცდებით: არ დავიჯერებთ, ვიდრე თქვენებრ ჩვენც არ მოვკვდებით!

ი. მჭედლიშვილი

მ რ ი ს უ რ ა თ ი

ფრთხვ ავანგლული ნელი სიო თავს ევლებოდა საუცხოვოდ გაფურჩქენილს, აკვირებულს ბუნებას და მოფარფატე ლადი ქროლით ტკბილად აქრეოლებდა. ნანაობდა ბუნება, ნანაობდა ტიტო, მწვანე წიაღში სანეტაროდ განრთხმული, და ბუნებასთან ერთად ჩუმ ზვიმს ეძლეოდა... „ტიტო, ტიტო...!“ გაუელვა სიციქმანით დაფერილმა ხმამ და, გრძნობათა ბურთიან მოცულ ტიტოს, ჯადოსნურად მოლიმარი სურათი განუსახიერდა. ხატების ციური მშვენებით ტიტოს თვალეში აუფუფუნდა. მოკუმული ბაგე იმგვარად აუთრთოლდა, თითქო იახნდა: „ღმერთო! ვინ შესწვდეს შენგან ქმნილს ესოდენ მშვენიერებასო“?.. გაუმადლრად სკვრეტდა ტიტო ლამაზს. სკვრეტდა ვატაცებით და მოდუნებულ ძარღვებში სიცოცხლის ჩქეფი ფურჩქევოდა. გრძნობით აღსავსე გული იდუმალ სიმეგბს ხმაყმედილად აყდერებდა და სიმთა უღანო ბგერაში ირთვებოდა კდემამოსილი ასულის ქება:

„როგორ უქროლავს, წყუფეს, აბრეშუმის თმა მარმარილოს დითილ მხრებზე.“

„როგორ უკრთიან, მცინარობენ.



პოდპოლკ. სერ. რ. ხუნდაძე უფროსი ექიმი, ვარშავასთან დაპროლი მარჯვენა ხელში. განკურნების-თანავე მომქმედ ჯარში დაბრუნდა.

ვერცხლის ტბაში მოლივილივე გიშრის თვალები.

„რა რიგად ჰვარენ ფოთლის ბაგენი, მიჯრიდ მიწყობილს ბროლის კბლღებსა.“

—ქეთო! შენ ხარ ეგ წარმტაცი მოჩვენება?—ვაშობიხა გრძნობით ნაქარბმა ტიტომ და... გაქრა წარმტაცი მოჩვენება, გაქრ ქეთო.

ბნელოდა. გაავზნებული ქარი გულსაკლავად ზუზუნებდა, შექრილი სახლის კუნჭულში ოხრავდა, კენესოდა.

შავი ფიქრებით გარემოცული ტიტო იჯდა სავარძელში გამტვერიანებულ ფანჯრის წინ და თავის ბედს კრულავდა, სევდიანი, სედვის ყორნებით უმოწყალოდ იკორტნებოდა... „ტიტო, ტიტო!“ გაუელვა ნაღვლიანად ამოძახილმა სახეობა და მწუხარე ამოძახილს თან მოჰყვა მოჩვენება ქალი: დაშრეტილი თვალებით, დაღეკილი თმით, ფარალაღა კბილებით, აფორიაქებული წარბ-წამწამით... გულბრაზიანმა ქარმა ფანჯარას მძლავრი ტალღა შემოკრა და ააწყრილა. ტიტოს ფიქრები შეუშვოთა... გაქრა ხეული მოჩვენება, გაქრა უგვანო ქეთო...

გ. დათიაშვილი

კახეთის რკინის გზა



იორის ხიდი 60 საყ. სიგრძისა

თითქმის თექვსმეტი საუკუნეა, რაც წმ. ნინომ ახალი სუფულის სხივი შეიტანა კახეთში და ერი სულეორ განახლების გზაზე გამოიყვანა..

დღეს კი, ამ თექვსმეტი საუკუნის შემდეგ, ქართველთა განმანათლებელის სსენების დღეს, კახეთისკენ გაჭქრლად რკინის გზის მატარებელმა, ქვეყნის ნივთიერად წარმეტება-აღორძინების საშუალებათა გამოტარებულმა...

14 იანვარს დაიწყო კახეთის რკინის გზის დროებითი მოძრაობა...

გავიდა ზირველი მატარებელი და ტურფა კახეთის ლად მცხოვრებელი შეჭწივლად, გამოიდგობინა, განახლებასა და წინსვლის გზას დაადგინენ, ნივთიერად აღებ.მიცემობის ფერხულში ჩაებნენ, კულტურულ სვლას გაჭქუნენ...

კახელთა შანწარმოებამ გარეშე ბასარი უნდა იხილოს, გარედ გავიდეს და საკუთარ ნაშრომს ფასი დასდოს, ბუშტა-რი აუჩინოს.


შ.ნ მოკლათებულ ქართველ ინტელიგენციასაც საშუალებად უძლევა, ახლად მინდ შეინწავლოს სამშობლოს ერთი შეიპვლუტესი კუთხეთაგანი ..უკვე სოფელი და

ბას უკავშირდება, დაბა ქალაქს... ქვეყნის შუა გულს და განზიდ ნაწილთ შორის კავშირი იბ. მება... და მით ქვეყნის ძარღვის ცემა ძლიერდება .. და მიტომ უფრო გვიხარია ამ გზის ამოძრავება, რომ იგი გავანდიდა ქართველთა თანხრობით—ქართველი თავად-ახურობის მოწადინებით, აქციათ დიდი ნაწილი მასვე ეკუთვნის, ე. ი. რკინის გზის ბატონ-პატრონი ქართველობა... ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ ქართველი თავად-ახურობა კარნაკტორილ ცხოვრების თავს ადწევს და ცხოვრებაში სპობრძლეულ თანა-

მედროვე იარაღით—საწარმოებ-სამრეწველო იარაღით—აღურდება...

სინან თვითმოქმედების გზაზე გამოვდივართ... ეს კი თავდება ჩვენის აღორძინებისა... ამიტომაც დღეს ვაჯლად გვიქვს მადლობით მოვისხებოთ ისინი, ვინც ეს საქმე დაიწყო და აღსრულებაშიაც მოიყვანა, სიტუტას საქმედ აქცია... მადლობით მოვისხებოთ ის შვიი მუშებოც-კი, რომელთაც ერთი ქვა მანინ ჩააკვდეს ამ გზის საძირკველში, ერთი ბელტო მანინ გაადაზრუნეს...

გისარადეს, ჩემო ტურფა კახეთო! თექვსმეტი საუკუნის წინად თუ სულეორ განახლებას,



ჩალაუზნის ქედზე

ახალი სჯულის მიღების ზანმა დაგირეკა, დღეს ნიუთაერ აღთმინების, ეკონომიურ განვითარების ზანა გირეკს...

მაშ ფხიზლად და მარჯვედ, რომ ამ გზამ შენ განსრუგებლად და ანს დაჯგარანს, შეკმატონ რაშე და ანს დაჯგარანს...

გზა მშვიდობისა, ჩემის სამშობლას განახლების გზაია!..

იოსებ არჩმათიელი

კოკი პ. ფოცხვერაშვილის პონსარკაშვის ბაგო

ჩვენ წინა წერილში დავპირდით ფუგას (მუშლი მუხასა) გარჩევას, მაგრამ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო წერილი უაგვიგვიანდა, ამ ხნის განმავლობაში-კი მუშლი მუხასა მეორედ იყო ასრულებული 20 ქრისტეშობისთვის და მსახალხო ფურცელშია უკვე მოასწრო პიესის დაწვრილებით გარჩევა, როგორც თეორეტიულად, აგრედვე იდეურად; ამიტომ ჩვენ დავგერჩენია მარტო იმისი თქმა, რაც სხვებს არ უთქვამთ, ან კიდევ ნაკლებ უთქვამთ ამ ფუგაზე. *)

ბ. ფოცხვერაშვილის ფუგა არ ეკუთვნის ნაწილს, ანუ სასტიკ ფუგას, რომლის ფორმაც აშენებული უნდა იყოს სასტიკ კანონებზე; იგი ეკუთვნის თავისუფალ ფუგას, სადაც თემად აღებულია მუსიკალური ნაწარმოები (ამ შემთხვევაში მუშლი მუხასა), ფორმა-კი მიცემული აქვს ფუგისა.

აქ ჩვენ საესებით უნდა დავეთანხმოთ იმ პირთ, რომელთაც აღნიშნეს, რომ ფუგა „მუშლი მუხასა“ დიდებული ნაწარმოებია მართლაც და ჩვენ ვოკალო-მუსიკალურ ლიტერატურაში ამისი მხგავსი არა დაწერილარა ამ ფუგას ჩვენ შეგვიძლიან მხარში ამოუყენოთ მხოლოდ ბ არაიციშვილის ოპე იდამ „თქმულება შოთა რუსთაველზე“ რეჩიტატი-

ვი, **) რომელსაც ჩვენ თავის დროზედ არ შევეხეთ, რადგანაც მთლიანი მსჯელობა ოპერაზე გადავდეთ იმ დროსთვის, როდესაც ბ. არაიციშვილი შეძლებას მოგვეცემა მოგვესმინა მთელი ოპერა. ამ რეჩიტატიეში შეტანილია (თუ ხსოვნა არ მდალატობს) კახური ჟანრულია (მოკლე სუფრული) და ბ არაიციშვილის საუცხოვოთა აქვს შეზავებული.

ეს რეჩიტატიე და ფუგა რომ დაუპირო-დაპიროთ ერთი ერთმანეთს (იდეის გარეშედ, მუსიკალურ ნაწარმოების მხრით), ძალიან ძნელია სთქვას კაცმა, რომელი სჯობია. რეჩიტატიეს აქვს მთლიან სიკარგესთან ერთად ისეთი დადებითი თვისებები, რომელიც არა აქვს ფუგას, ფუგას კიდევ აქვს ისეთი კარგი მხარე, რომელიც არა აქვს რეჩიტატიეს. მაგრამ ამ დეტალებზე ვილაპარაკებთ მიშინ, როდესაც გავარჩევთ ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ახლა-კი დაუბრუნდებით ფუგას.

